# უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 22

2017 წ. "21" 09

ქ.თბილისი

**,,სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 9 სექტემბრის №18 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს ,,სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 9 სექტემბრის №18 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 205224700) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება :"

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაგა-ბაღის აღმზრდელ პედაგოგი | მეხუთე | ბაგა-ბაღის აღმზრდელ პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 132 | 162 | ქართული | 80 | ქ. თბილისი პოლიტკოვსკაიას ქ. №26; პოლიტკოვსკაიას ქ. №61 |
| 2 | სადაზღვევო აგენტი | მეოთხე | სადაზღვევო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 103 | 133 | ქართული | 40 | ქ. თბილისი პოლიტკოვსკაიას ქ. №26; პოლიტკოვსკაიას ქ №61 |
| 3 | ვებ ინტერფეისის დეველოპერი | მეხუთე | ვებ ინტერფეისის დეველოპერის მეხუთე სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 77 | 92 | ქართული | 40 | ქ. თბილისი პოლიტკოვსკაიას ქ. №26; პოლიტკოვსკაიას ქ. №61 |

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №9 სხდომის ოქმის მე-7 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
თამარ ზარანდია

მდივანი
თუთა ნარმანია